



კარგ ჯამაგირს აძლევს; შეიღებები შემკ-
ყავს სკოლაში იმ იმედით, რომ რას-
მე ისწავლიან და შემდეგში ღარიბ
ჩვენს ოჯახს გამოადგებიანო. მაგრამ
სკოლაში ვერ სწავლობენ იმას, რაც
გლენს ეჭირება.

რა გასაკვირველია, რომ გლენმა
გული აიყაროს ამისთანა სკოლაზე და
ალარ მიბაროს იმას თავის შვილი
გასაზრდელად.

და ალარ გზავნის შვილს სკოლაში,
რადგან იქ ყოფნით ვერაფერს ვერ
იძენს და ოჯახს და ღარიბ მშობლებ-
ბის დახმარებას კი მოცდენილია. ამ
ნაირად სკოლაში ყმაწვილები ალარ
დაიარებიან.

რა გასაკვირველია, რომ გლენმა
ამისთანა სკოლის თავიდან აცილება
განიზრახოს, რომ სასკოლო ხარჯის
თავიდან მოშორება მოინდომოს? და,
აი, იმან მონახა საშუალება—მოსპო
სკოლა, გადაწვა ის იმ იმედით, რომ
როდესაც სკოლა ალარ იქნება, იქნე-
ბა მაშინ მაინც გადავრჩე ამ უბრა-
ლო, უნაყოფო გადასახადსაო.

დასაფიქრებელი და ღრმად დასა-
ფიქრებელი უნდა იყვეს ესგარემოე-
ბა ჩვენი ესრედ-წოდებულ საზოგადოე-
ბისათვის. ეს მოვლენა ცხადად უჩვე-
ნებს და უმტკიცებს იმათ, რომ ხალხს,
ნამდვილი სახალხო სკოლა ეჭირება, ისე-
თა სკოლა, რომლის სარგებლობასაც
ისინი აშკარად და პირ-და-პირ გრძობ-
დნენ.

დაფიქრდნენ—ვისდამიც ჯერ-არს
ამაზედ დაფიქრება და ზრუნვა.

რებს ალალო ხელში. ალალო მაშ
რიღას ალალოა, რომ მზად ვალეზუ-
ლი პირიდან ლუკმა არ ამოსტაცოს
გაუბრთხილებელ მარცვალას?..

მართი სიტყვით, არა ღირს სალა-
პარაკოდ. ალალო საქებია და მარ-
ცვალა დასაძრახისი. საწყალი მარცვა-
ლა..

მაგრამ ეს ალალო ხომ ჭკუიანია,
რადგან ოსტატობით აცლის ხელიდ-
გან ლუკმას საცოდავ მარცვალას,
რომელსაც ამ სიტყვით თითქმის მუქ-
თად მოუხდა ასი ვერსის გამოვლა
თავის ურმით, ამიტომ რდამ ხუთი მან.
ბე იმის ხარ-კამეჩს არც კი ეყოფოდა
გზაში საჭმელად. მაშ ბ. მისინერი,
რომელმაც ამოდენა საქმე აუტეხა
ჩვენებურ „სამეურნეო საზოგადოებას“,
ეს მისინერი ხომ სრულებით ჭკუის
კოლოფად გარდაიქცეოდა, იმისი
განზრახვა რომ აღსრულებულიყო.
იმას რომ ჩვენში ფეხი შემოედგა, ის
ხომ არამც თუ ლუკმას წააგლეჯდა
მრავალს მარცვალასთანა კაცს, არა-
მედ ცოცხალ-ცოცხალ ადამიანს და-
უღებავად გადაჰყლაპავდა. მერე მარ-
ცვალაებს ზედ მიაყოლებდა უფრო
მსუქანს ლუკმებს, როგორცეცა
ბრძანდებიან ჩვენი ალალოები. სულ
ბულოს ბ. მისინერი ყელს ჩაიკოკლო-
ზინავებდა ჩვენებური მებატონეებით,
დესერტის მაგიერ. ბ. ღინგელშტეტმა
ბრძანა, რომ ჩვენი ქვეყანა ეხლა
ემგზავსება ძალითურინისაო, სადაც
სცხოვრებდა ევლური ხალხი, რომელ-
საც არ ეყურებოდა ოქროს ფასით;
მივიდნენ „განათლებული“ ევროპე-
ლები, ჩამოართვეს ამ ევლურებს მიწა-

ბათუმის აბეზი *)

სტამბოლის ფარაცუზულ გაზეთს
„Stamboul“-ში დაბეჭდილია შემდეგი
კორრესპონდენცია 4 ნოემბერს გა-
გზავნილი ბათუმიდან:

„ჩემს უკანასკნელს წენილში მე
დაგპირდით მოგიყვანოთ მაგალითები
აქაურ ადმინისტრაციის ზოგიერთ
ურჩივო მოქმედებისა და ახლა შემოდ-
ლიან ეს დაპირება შეგისრულოთ.
იმედია ცილის-წამებას ვერაფერ შემ-
წამებს, რადგან მე მომყავს ნამდვილი
და ყველასაგან ცნობილი ფაქტები,
რომელთაგან ზოგიერთები თვით ტფი-
ლისის გაზეთებშიაც იყო დაბეჭდ-
ლი:

1) ჩამოვიდა თუ არა ახალი გუ-
ბერნატორი ბათუმში, გადაჭრით გა-
მოაცხადა და ამის თაობაზედ განკარ-
გულებაც მოახდინა, რომ, სანამ ად-
გილ-მამულის საქმე უშალღეს მთაე-
რობისაგან არ იქნება გარდაწყვეტილი,
მანამ ის არაფერს არ მისცემს ნებას
სადავო ადგილ-მამულების გასყიდე-
სას.

„ბუბერნატორი ქობულეთის მახ-
რის დასახელებად წავიდა და თავის
მოადგილედ დასტოვა გიცე-გუბერნა-
ტორი თ. ნ. მ. ამ დროს ერთი ად-
გილი მიჰყიდეს რკინის გზის გამგეო-
ბას და მიჰყიდეს ამ რიგად: რადგან

*) ჩვენ არ გვჯერა ამ კორრესპონ-
დენციაში მოყვანილი ამბები, და თუ გუქ-
დავთ, ერთის მხრით იმეტომ, რომ
მაინც საინტერესოა, რას სწავნენ ჩვენს
საზოგადოებას, რომელიც უფროს
მხრით იმეტომაც, რომ აქ ნასსესებ
პირთ შემთხვევა მიგვცხადებს თავის გამართლე-
ბისა.

რედ.

წყალი და შეუდგნენ ოქროს მადნე-
ულების გამოყენებასაო. ჩვენი ქვეყ-
ნაც ასეთი ველურია, ჩვენ არ ვიცით,
რომ ღვინო იგივე ოქროა, და ამი-
ტომ ვერ ვუვლით ვინახებასაო. ამი-
ტომ ძალიან სასურველი იქნება, რომ
მოვიდნენ „განათლებული“ მისინერე-
ბი და მამა-პაპული სამეკიდროება
ჩამოგვართვან ხელიდგანო. ეს ღიდი
ბედნიერება იქნება, რადგან ჩვენ
უსწავლონი და ზარმაცები ვართო...

მაგრამ ვილაპარაკოთ დალაგებით.
პარასკევ დილით ხომ მარცვალას
ღარდი გაეფე და, რასაკვირველია,
ვერ დაეხსენი ალალოს კლანჭებიდ-
გან ობოლი თუჩანი. იმავე დღეს სა-
ლამოზედ, ყრილობა იყო დანიშნუ-
ლი „სამეურნეო საზოგადოებაში“ და
მეც, დროების გასატარებლად, წავედი
ამ ყოველად ღირსებულ კრებაზედ.
მსჯელობა იყო გამართული იმავე ბ.
მისინერის წინადადებაზედ, რომ ეგე-
ბა ჩვენი ველური თავი, ჩვენისავე-
სურვილით, ხელთ იგდოს ღვინის
გაჰყიდებამ სააქციო კამპანიაში, ამოგე-
დოს ლაგამი, შეგვაბას ოქროს ეტლ-
ში, თითონ ჩაჯდეს შიგა და გვარბე-
ნინოს, საითაც იმისი გულის წაღილი
იქნება.

მართმა ხუმარა მეგობარმა მიჩნია
რამდენიმე ყვავილების ხეები ან მცე-
ნარენი გავიჩინო ჩემს ოთახში, გა-
ვამწკრიო ფაქჯარაში და ამ სახით
ორ-სამ დღეში შემეძლება გავხდე
წვერად „სამეურნეო საზოგადოებისა“.
იმან ისიც მითხრა, რომ ბბ. ბოლო-
ტოვი, მონასტირცევი და კიდევ
მრავალი სხვანი მარტო იმეტომ არიან

ყველა სადავო ადგილების პლანები
ერთს ინჟინერს (თუ შემღმერს?)
ჰქონდა ჩაბარებული ლუბერნატორი-
საგან, ამის გამო ადგილის გასყიდვა
არ მოხერხდებოდა. შამსყიდველმა და
მსყიდველმა მიმართეს პოლკოვნიკ
ბუკა და სთხოვეს იმას ვიცე-გუბერ-
ნატორთან შეუპაელობა. ვაცე-გუბერ-
ნატორმა სთქვა, პლანი მომიტანეთ
და ხელს მოვაწერო.

„ბუბერნატორის დაბრუნების წინა-
დღეს 4 (16) ივლისს, საღამოს მეზუ-
თე საათზე, პოლკ. ბერსი ადგილის
პატრონით და მსყიდველით მივიდნენ
ინჟინერის ტიუმენევის სადგომზე პლა-
ნის სათხოვნელად. მაგრამ ინჟინერი
შინ არ იყო და იმის სადგომის კა-
რებიც ჩაკეტილი. ბ. ბერსმა მოაყვა-
ნინა მჭედელი და უბრძანა იმას კა-
რების გაღება. როცა მჭედელმა უარი
განაცხადა, ბ. ბერსმა ქალაქ-მთავრის
უფლები ახსენა და ხელ-მეორედ გა-
უმეორა ბრძანება. მჭედელმა გაალო
კარები. შევიდნენ ინჟინერის სახლებ-
ში მოძებნეს ხსენებული პლანები,
წარუდგინეს ვიცე-გუბერნატორს, რომ-
მელმაც მოაწერა ხელი და ამნაირად
მამულის გასყიდვა მოახერხეს.

2) 1881 წლის ივლისამდინ ქა-
ლაქს მხოლოდ ორი დეპუტატი ჰყავდა,
რომელნიც ქალაქის ინტერესებს იცა-
დნენ და ქალაქის შემოსავალ გასა-
ვალს თვალ-ყურს ადევნებდნენ. ეს
ორი დეპუტატი ამორჩევით კი არ
იყვნენ დანიშნულნი, როგორც კა-
ბერსის ნებით. რაღა თქმა უნდა, რომ
ისინი მორჩილი ყმანი იყვნენ თავის
დამნიშნელ პატრონისა.

წვერებად ამ ფრიად სამეცნიერო სა-
ზოგადოებისა, რომ იმათ ფანჯარაში
გამოფენილი აქვს სხვა-და-სხვა ყვა-
ვილებიო. მთუ ეს ხუმრობა არ არის,
ჯანი გავარდეს, ერთ ოთხ-ხუთ მა-
ნეთს მოუყრი საიდგანზე თავსა, გა-
ვამწკრივებ ფანჯარაში ყვავილებს და
მაშინ ეგება მეც ნება მქონდეს იმავე
სისულელით ლაპარაკისა, როგორაც
მუსაიფობონენ ნათქვამ კრებაზედ
ბევრი ნამდვილი წვერნი და მე-
ტადრე ბ. მონასტირცევი. არა, უჩვე-
ლად უნდა ჩავეწერო. ან რატომ
უნდა იყოს ძნელი „სამეურნეო სა-
ზოგადოების“ წვერობა? მთუ კი იმ
გვარ საქონლის ექიმებს, როგორცა
ბრძანდება ბ. ბოლოტოვი, რომელ-
საც ხანგრძლივი ერთგულებისაგამო
პირუტყვებთან თითქმის დაჰკარგია
ბევრი ისეთი რამ თვისება, რომელიც
ისეაქტირა ადამიანისთვის, მაგ. ცნო-
ბის მოყვარება, მოლაპარაკის ყურის
გდება, სწავლის ხალისი და კიდევ სხვა
მრავალი რამ; ანუ იმისთანა მასწავ-
ლებლებს, როგორცა ბრძანდებოდა
ბ. მონასტირცევი, რომელთაც მოს-
წავლეთა მშობლებისაგან, მარტო ფუ-
ლის გამოართმევა კი არა სკოლიათ,
არამედ ისეთი თვისებაცა ჰქონიათ,
რომ როდესაც თავიანთ შვირდებს
ასწავლიდნენ, თურმე ეს სწავლა თი-
თონ აკლდებოდათ, ასე რომ რამო-
დენიმე ხნის შემდეგ, თავთ მაგდენი
არა გაეგებოდათ-რა, რაც იცოდნენ,
ყოველივე შვირდებს გადასცეს, ასე
რომ თითონ ცარიელი გოგრების მე-
ტი აღარა დარჩათ-რა, —ჰო, ვიმეო-
რებ, თუ კი ამისთანა კაცები წვერე-

„ქალაქში დიდი უკმაყოფილება“ ის-
მოდა ამაზე და „მონასტირცევი“ მი-
ვიდა საქმე, რომ იძულებული შეიქმ-
ნენ ოთხი ახალი დეპუტატის ამო-
ჩევა დაენიშნათ. ამისათვის გუბერნა-
ტორის ბათუმიდამ წასვლის დროს
ელოდნენ. მართლაც, დეპუტატების
ამორჩევა 10 აგვისტოსათვის, დაენიშ-
ნათ როდესაც ბ. ბუბერნატორი პრთ-
ინის, ზემო-პარისა და არდანუჯის
დასაველად იყო წასული.

რამდენიმე პატივცემული პირნი,
რომელნიც ამ დროს ბათუმში იყო-
ფებოდნენ, მივიდნენ ბ. ბერსთან და
სთხოვეს, ენკენისთვის დამღვეამდინ
გადაედვა დეპუტატების ამორჩევა,
რადგან ახლა ამ სიტყვებში თითქმის
არაფერ არის ქალაქში და იმ დროს-
თვის კი დაბრუნდებიანო. მაგრამ ამა-
თი თხოვნა შეწყნარებული არ იქმნა.
მთუმცა ერთობ მცირე რიცხვი იყო
ამომრჩევლებისა, მაგრამ კენჭის ყრა
მოხდა, ისიც პოლიციის ზედამხედვე-
ლობის ქვეშ. 300 მეკენჭის მაგიერ,
სულ 60 კაცი იყო და ამათშიაც
50-მდინ ახხაზები და სხვა ისეთი ხალ-
ხი, რომელთაც კენჭის ყრისა სრუ-
ლიად არა გაეგებოდათ-რა.

„მოკენჭეთა რიცხვის ნაკლებობის
გამო, ეს პირველი ამორჩევანი უკა-
ნონოდ ჩაითვალა და ხელ-მეორედ
დანიშნეს; აქაც პოლიციის ზედ მოქ-
მედებით თითქმის ყველა დეპუტატი
ისეთები იყვნენ ამორჩეულნი, რომ-
მელნიც ბ. ბერსს ესამოგნებოდა.
რამდენიმე საჩივარი შეიტანეს ამ არ-
ჩევანის თაობაზედ, მაგრამ ყველა უყუ-
რადლებოდ დაგდეს.

(გაგრძელება)

ბად ჩაწერილან და აღარავის აძლევენ
ლაპარაკის ნებას, რადგან თავიანთ
ენის ქავილს ვერ ასვლიან, მაშ მე
რაღა ჩაჩიკა შეიღი ვარ, რომ წვერად
არ მიმიღონ. მეცდები, რომ უთაე-
ბოლო ყბედობით და უფუნური სი-
ტყუებით თავი მაინც არ მოვაძლო
მსმენელებს, როგორცადაც სხადიოდნენ
ძვირფასი ბოლოტოვი-მონასტირცე-
ვები. იქნება როგორმე სეკრეტრის
თანაშემწეობაც გაეიკრა, როგორც
ბ. იგნატოვისკის მოუხერხებია.

არაფერი არა ყოფილა-რა საჭირო
არც ერთისთვის, არც მეორისთვის.
წვერმა არა უნდა იცოდეს-რა, უნდა
იყოს სრულებით გამოყრუებული, აი,
გინდა იმ ღირსებისა, რა ღირსებისა-
ცა ბრძანდებიან ბოლოტოვი-მონას-
ტირცევი; სეკრეტრის თანაშემწეს-
თვის ხომ მოვალეობას შეადგენს,
რომ იმას არ ესმოდეს ადამიანის ლა-
პარაკი, როგორც ბ. იგნატოვიკიმ
აღიარა, —ამდენი ხანია, ერთ თვეზედ
მეტია, რაც ბბ. იოსელიანის და მლიო-
ზოვი ლაპარაკობენ თავიანთ შეხე-
დულობაზედ და მე აქამდის ვერ გა-
მიგია, რა სწადიანთ იმათაო, ამიტომ
ვერც ანგარიში შევადგინე მაგათი
ანრებისა. ბ. მონასტირცევი, თავის
უნებლიედ ისეთი სიტყვა თქვა, რომ-
მელიც ძალიან დაგნმარებოდა თანა-
შემწეს, მაგრამ, მგონი, უკანასკნელმა
ვერ გაიგო. აი ეს სიტყვა: —მაგათ
არა უნდათ-რა, ეგენი მხოლოდ ჯიუ-
ტობენო, თავიანთი გაჰყავთო, თო-
რემ ჩემი აზრისანი იქნებოდნენო...
მართი სიტყვით, ბევრი ლაპარაკი
არ უნდა, მე ყვავილებსა ვყიდულობ



დღიური

ბუშინწინ, 10 ამ თვეს ძავეასის სამეურნეო საზოგადოებაში ერთხელ, და უკანასკნელად, კიდევ იყო სჯა ბ. მისინერისაგან წარმოდგენილ პროექტზედ ღვინის საეჭრო და საწარმოებელი აქციონურ კამპანიის დაარსების შესახებ. ეს მეოთხეჯერ იყო ხსენებულს საზოგადოებაში ამ საგანზედ სჯა. საზოგადოებისაგან არჩეულმა კამისიამ ის აზრი გამოაცხადა, რომ ამ გვარი აქციონური კამპანიის დაარსება სასარგებლო იქნება ჩვენის მხრისათვისაო, მხოლოდ 2 1/2 მილიონ მანეთზე ნაკლები თანხა უნდა ჰქონდესო თორემ მთელი ჩვენი მხრის ღვინის ვაჭრობასა და წარმოებას ხელში ჩაიგდებოდა.

ბუშინწინ, ხანგრძლივის ბაასის შემდეგ, კრებამ გადაწყვიტა, რომ რადგან ამ გვარი აქციონური კამპანია ვენების მეტს სარგებლობას ვერ მოიტანსო, ამის გამო იმის დაარსება ჩვენს ქვეყანაში სასურველი არ არისო. 30 წევრში 17 ამ აზრისა იყო და 13 კი წინააღმდეგი, ე. ი. ეს კამპანია ჩვენ გავგეჟეთბო.

დაუჭერიათ ის ავაზაკები, რომელთაც მარელოს და ბორის სტანციებზე შუა რკინის გზის კასირი გაცარცვეს ევანში. მაზ. „ძავეაზი“ ამბობს, ეს ავაზაკები სენაკის მაზრის სოფ. ნოსორის მცხოვრები მეგრელები ვილაცდ. და ბ. აღმოჩნდნენო და ისინი სენაკის პრისტავმა ბ. მათარაძემ დაიჭირაო. „შრომა“ კი ამტკიცებს, რომ ერთი ამ ავაზაკთაგანი მუთათისა პო-

და ვეწერები „სამეურნეო საზოგადოების“ წევრად, ბ. მონასტირცევის გვერდის დასამშვენებლად. მაშინ მეც შემეძლებოდა ჩემი აზრისა, „ჩემი შეხედულობის“ წარმოთქმა, ვინდ არც აზრი მედღას გოგრაში და არცა რა შეხედულობა მქონდეს, ჩემი მომავალი შეზობლისა არ იყოს. იქნება საგაზეთოდაც გაეხდებოდა—ამა-და-ამ თლანმა ეს „აზრი“ აღვიარაო.

მე კი არა და, რა ეშველებოდა ჩვენ „სამეურნეო საზოგადოებას“, ბ. მაშინაინცით ერთად, რომ გარეშე პირები არ შესწოდნენ ორიოდე კუთხან წევრს და არ აეხსნათ თითო-ოროლა უბრალო ეკონომიური ჭეშმარიტებანი. მაშინ მახელი თ. ა. ჩოლაყაშვილი სწორედ თავისას გაიტანდა, თვალებს აუბამდა საზოგადოებას გადაჭარბებული მახელობით და იქნება ესლავე გადაწყვეტილებდა, რომ ჩვენ გამაბედნიერებელ მისინერს წინაღვე ძეგლი დადგოდა თავის მომავალე ღვაწლისთვის. ღმერთო, რამადენა ცრემლები დაღვარა ამ ოხუნჯმა ორატორმა ბ. მისინერისათვის, რა ქება შეასხა ვაჭარ ხალხს, რომელიც, როგორც ეხლა გამოჩნდა მახელი თ. ჩოლაყაშვილის გრძელი ბაასისაგან, ჩვენზედ თავ-გადადებული ყოფილა, ჩვენი მწყალობელი, ჩვენი შემწე, ჩვენი დამხსნელი, მფარველი ანგელოზები, ჩვენი გულისათვის გადაკულუბი, და ჩვენ კი, უმადურებს, ზიზღის მტეი არა გვემეტება-რა იმათთვის! მთუ არ რამდენიმე მცოდნე გარეშე პირნი, ამ გვარი ტირილით სწორედ

ლიციის პრისტავმა ბ. მდივანმა დაიჭირაო.

მთიდგან გვატყობინებენ, რომ სოფელი სტეფან - წმინდის სკოლის საქმეები აშკარად ცდილობენ რამდენიმე პირი უკან დააყენონ და ხალხსაც არწმუნებენ, რომ იმათი შეილების სწავლა მხოლოდ საქმის მოცდენა იქნება და დროს დაკარგავს; ყველაზედ საკვირველი ის არისო, იწერებიან, რომ ის პირნი, ვინც უნდა უქადაგებდეს ამ საკეთილო საქმის განხორციელებას, ყველაზედ უმეტესად სცდილობენ ხალხის უმეცრებაში შეყვანას.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ მთიულეთიდან და მთიდგან მრავალი ხალხი აპირებს გადმოსახლებას მართლში, რადგანაც მიწის სიმცირე და განუწყვეტელი კანონიერი თუ უკანონო ბეგარა მეტად აწუხებს იმათ. ამ აზრით რამდენიმე პირი კიდევ ყოფილა ბორის მაზრაში ადგილების დასათვლიერებლად.

მთიდგანვე გვატყობინებენ, რომ ახალი გზის გაყვანით ღარიელისა და შახბეგის შუა რამდენიმე შეძლებული გლეხ-კაცი სრულიად გაღარიბდებიანო, რადგანაც იმ თითო ხელის-გულის ოდენა ამათ ადგილებს ეს გზა დაიჭრისო. ყველაზედ მეტს ზარალს ნახვენ გლ-ნი შეხვალაშვილები, რომელთა სათიბესაც თავიდგან ბოლომდე შუაზედ სჭრიანო და ეს სათიბე-კი მთელს ხევში საუკეთესოდ ითვლე-ბოდაო, დიდად გასაკვირველიაო; რამ

ცრემლებს მოგვრიდა თ. ჩოლაყაშვილი საზოგადოებას, მიადებინებდა ბ. მისინერის პროექტს და იქნება ამის გამო, გამართლებულიყო ქორი, ვითომც ამ ვაჭრობის მოთავე, გასამრჯელოდ, ამხანაგობის დირექტორობას აძლევს თ. ჩოლაყაშვილსაო.

მაგრამ ხმის უმრავლესობით გადასწყდა საქმე ისე, რომ ბ. მისინერის ბედნიერება ჩვენი ქვეყნის უბედურებას შეადგენსო და ამიტომ არ გვექაზნიკება იმისი პროექტიო.

აქ „სამეურნეო საზოგადოებამ“ თავის თავს აჯობა, თორემ მართლა რომ იმას მაცეა თავისი რეკლამი მომავალი ამხანაგობისათვის, დაჰყაბულოდებოდა ბოლოტოვებისა და მონასტირცევის „აზრს“, ვითომც ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო იქნება ამ ამხანაგობის არსებობაო, ამ შემთხვევაში რამოდენთამე გარეშე პირთ განზრახული გვექონდა მიგვეცა კრებისათვის შემდეგი წინადადება:—სასარგებლოა თუ საზარალო ჩვენი „სამეურნეო საზოგადოების“ არსებობა; იმ სახით, რა სახითაც იგი დღე-გრძელობს აწიო? მართალია, ძალიან გვაწყენდნენ ღირსეულნი წევრნი, მაგრამ სწორედ რომ ღირსნი კი იქნებოდნენ ამ კითხვის დადგენისა.

მთი სიტყვით, ბ. მისინერის წინადადება, როგორც იყო, აიცილია ჩვენმა ქვეყანამ. ნივთიური ჩაყლაპვა ჩვენი არსებობისა დაეტაკა ზოგიერთების გონიერებას და უკანასკნელმა,

ინჟინერები მიწას გვატლიან ხელიდამ და არა ვითარს სასყიდელს-კი არ გვაძლევდნო ამისთვის; კანონმა-კი დიდი ხანია დაამტკიცა, რომ გლეხს შემუშავებულის მეტატონის მამულიდგან ნახევარი ერგება. მთუ ერთს შემთხვევაში გლეხ-კაცის შრომა ასე ფასდება, მეორეში რაღად იჩაგრება ის?!.. იქნება მთის მამულს არად აფასებდნენო, ან იმის შემუშავება უფრო ადვილი ჰგონიათ? უნდა იცოდნენ მთის კაცს რად უღირს ქეიშასა და რიყზედ ჯერ მიწის გაჩენა, რომელსაც ჰგვის და ფანტავს ქარი და მემრე შეიძლონ ამ შრომის დაფასებაო.

„დროების“ კორექსონდენსია

შორაპნის მაზრა, 7 დეკემბერს. ჩხარის საზოგადოების სასოფლო სკოლა დასწვეს. როდესაც ამ სამუშაორო ამბავს შეიტყობს ჩვენი გუბერნიის სახალხო სკოლების ბატონი, იტყვის, ალბად:

— არ ვითხარით, რომ შორაპნის მაზრის მცხოვრებნი ველოურები არიანო?

მისაც საქმე არ გაეგება, ის, რასაკვირველია, ამისთანა დასკვნას გამოიყვანს; მაგრამ ვინც საქმის გარემოება იცის და ვისაც ნათელი ნათლად ეჩვენება და ბნელი ბნელად, ის სულ სხვა დასკვნას გამოიყვანს...

მე ვგონებ, ყველამ კარგად გაიგო, თუ როგორ სწყურია ჩვენ ხალხს სწავლა; ყველამ იცის, რომ ჩვენში ქრთამს იძლევიან ოლონდ მათი შეი-

ცოტათი არ იყოს, გზა გადაუღობა. მართალია, ღობე სუსტია ჯერ-ჯერობით, მაგრამ შეიძლება ოდესმე ქეიტკირის კედელიც გაეელოს, შეიძლება თ. ანდრონიკაშვილმა მოიყვანოს სისრულეში თავისი მომავალი ძვირფასი პროექტი ამხანაგობის დაწესებისა თითონ მემამულეთა და ყველა მწარმოებელთა შორის, ე. ი. ვისაც კი აქვს ენახი და მოზღის გასაყიდი ღვინო, შეეძლოს წილის აღება ამხანაგობაში, რომელიც თითონვე შეუდგება ღვინის გაყიდვას ქალაქებში და მოგებაც თვისივე იქნება და არა სირაჯებისა და ვილაც შუამაელებისა.

მთი სიტყვით, ამას როგორმე მოეცლება, მაგრამ როგორა გწადიანთ მოუაროთ თქვენ თავებს, როდესაც ნივთიურ ჩაყლაპვაზედ უარესი მცხი გიმზადდებათ? აგერ ეხლა ქუთნალი „ნიურიდიკული მიმოხილვა“ შესდგომია ჩვენ სულიერ ჩაჰყლაპვას, განადგურებას, სულის ამორთმევას. საცოდავ რუსულ გაზეთს „ძავეაზს“ რილაცა ეშმაკადა და ქაჯად სასიამოვნოდ მიუღია, რომ ჩვენი პატივცემული მოხუცი, ბ. დ. ი. შიფიანი ქართულ ღრამატკას ადგენს. „ძავეაზმა“ სთქვა, რომაო იქნება, ღმერთმა ქნასო და ეხლა მაინც ბ. შიფიანის სამშობლო ვნის ორიგენალური ფორმები გაგებულნი შეიქმნენ ქართულ ლიტერატურაშიო. „ნიურიდიკული მიმოხილვაში“, თავის შრენკელ-სტეფანოვ და კამპანიით, ერთი ყოფა დააწიეს:— როგორაო? შენც გინახიან, რომ ქარ-

ლები კი მიიღონ სასწავლებელში. პირველ კლასში რომ-ვაეში მიიღონ; მომზადებლებს აძლევენ ორას-სამას მანეთს.

ამისთანა ხალხში სკოლის დაწვა არ გიკვირს? რისთვის დასწვეს ეს სკოლა? რა მიზეზია აქ? იქნება ის იფიქროს ვინმე, რომ ცეცხლი უეცრად გაჩნდა? ანუ ერთმა ბოროტმა პირმა ჩაიღინა ეს სისაძაგლე? არა. ბაბედვით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს სკოლა დასწვა მოელმა საზოგადოებამ. აი საქმე როგორ არის:

სოფელს ჩხარში კარგი ხანია რაც საზოგადოებამ დიდის ვაი-ვაგლახით გაიკეთა სასოფლო სკოლა. ამ სკოლაში იყო მოწყობილი მასწავლებლის ბინაც. სასწავლებლის მთავრობამ გაგზავნა მასწავლებელი. ბლენებმა დიდის სიხარულით მიიყვანეს ბავშვები. მასწავლებელს მიუჩინეს მოსამსახურე, მისცეს შემა და კარგი ჯამაგრი. მთი მასწავლებელი წავიდა. მისს ნაცვლად მეორე მოვიდა. შესჩერებია საზოგადოება თავის შეილებს. ჰგონიათ, რომ მათი შეილები სწავლობენ. ბავშვები კი დაბეჯითებით მღერობენ ყველა-ნაირ სიმღერებს, რომლისაც არც მათ და არც ხალხს არაფერი არა ესმის-რა.

სამი-ოთხი წელიწადი იზებირებენ. მთელი ერთი წელიწადი ბავშვები უნდებიან „ცხენის თავის“ ზღაპრის გაზებირებას.

ბოლოს ათავებენ სწავლას და გამოდიან სკოლიდამ; რაღა თქმა უნდა, რომ იქილამ ვერ გამოაქვსთ ვერც

თული ღრამატკა იბეჭდებო! ჰაი, შე ასეთ-ისეთო! ბანა „ერთად ერთი რუსული გაზეთი“ იქამდის უნდა დამდაბლდესო, რომ ქართული ენა აღვიაროს ბ. შიფიანის სამშობლო ენა! მართალია, ბ. შიფიანი თითონ ქართველი ბრძანდებო, მაგრამ ყოველი ქართველისთვის დღეს სამშობლო ენა რუსული ენააო. ღა რაკი „ერთად ერთი რუსული გაზეთი“ მაგეთ შეურაცხყოფას აძლევს რუსულ ენას, რომ ბ. შიფიანის სამშობლო ენად რაღაც ქართული ენა მიჩნია, მაშასადამე, ეს „ერთად ერთი გაზეთი“ თითონაც ქართული ენის მომხრე ყოფილაო. არ-იქა, გვიშველეთო! პოლიცია!.. მთავრობის დალატო!.. პოლიტიკური შეთქმულობაო!..

აბა, თქვენ აქედან დაიხსენით თავი, თორემ მისინერებს თავის მონასტირცევი-ბოლოტოვ-ჩოლაყაშვილებით კიდევ როგორმე ზურგს აუქცევთ. ამისთანა ჯაშუშობაა ძნელი, თორემ პირ-და-პირ მსვლელ ვეშაპს შეიძლება კაცმა ფეხი მიინც მოარიდოს. დასწყველა ღმერთმა, ყველას ჩვენი ჭირი სჭირს— ფრანკუზს, ნემცეს, ფინს, სკაფს, სომეხს. ამ ურიებს რაღა დაუშავეთ, რომ იმათაც ასეთი მჭკრელი ღოჯები გვიჩვენეს!.. მჰ, მახლას, ერთი რამ იქნება, რაღა...

ს.ტ. ჭრ—შვილი.



თავის ენის სწავლა და ვერც რუსულსა.

საზოგადოებამ კი სკოლისათვის ყოველთვის ფულებს იხდის. ხალხს ერთი-ორად გაუჩლიან გადასახადს სკოლისათვის. ხალხი აღელდება ამაზე და სკოლის დამგვრევას მოინდომებს. (მათქვენს ვაზეთშიაც იყო დაბეჭდილი). მასწავლებელი მოახსენებს ამას მასწავლებლის უფროსს. ის გზავნის თავის თანაშემწეს; თანაშემწე მივა და უმტკიცებს ხალხს რომ იმათი განათლება სკოლებს შეუძლია, რომ სკოლები გააბედნიერებს მათ. საზოგადოება ირწმუნება მას და სკოლის დასანგრივად მიდის! თანაშემწე შეაყენებს მათ და საქმე ამით თავდება.

საზოგადოებას ფულები სკოლის დახურვის შემდეგაც ხდება. საზოგადოება ცეცხლს უკიდებს სკოლას და სწავლას.

აი ამ სკოლის ისტორია!

მაცხოვრებელი არძანა: ჟინი იქმნება თქვენში ისეთი უკეთური, მ. მას რომ შეიღობა პური სთხოვოს, პურის მაგიერ ქვა მისცესო. შეშმარიტად, ვინ უნდა იყოს ისეთი უკეთური, რომ პურის მაგიერ შეიღოს ქვა მისცეს? მაგრამ იმისთანა ჟამებში, სამწუხაროდ ბევრი არიან, რომელნიც პურის მაგიერ ქვას აძლევენ და თავისი დედის რძის მაგიერ პირუტყვის რძეს აძლევენ და ეუბნებებიან, ეს უმჯობესიაო. ს-ის. მ-ელი.

ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდან თორმეტ საათამდე.

ორ შაბათს. გარდაღების და ღისიცივი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასურტავი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაკვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

სამ შაბათს. შინაგანი—სირურგიული ავადმყოფობისა; ღისიცივი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასურტავი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაკვი და დასიელ-ბუგაკვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

ოთხ შაბათს. ღისიცივი და შინაგანი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასურტავი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაკვი—ძარღვების სისუსტის ავადმყოფობისა.

ხუთ შაბათს. ღისიცივი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასურტავი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაკვი—ძარღვების ავადმყოფობისა.

შაბათს. შინაგანი—სირურგიული ავადმყოფობისა; ღისიცივი, შინაგანი და დასიელ-ბუგაკვი—შინაგან

ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასურტავი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაკვი—ძარღვების სისუსტის ავადმყოფობისა.

შაბათს. ღისიცივი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასურტავი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაკვი—ძარღვების სისუსტის ავადმყოფობისა.

ბანსხალბანი

ანწრუნის თეატრი.

ლუს, 12 დეკემბერს

ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

ქოროლი

ტრაგედია 5 მოქმ., თხზ. ანტონოვისა. დასწყისი 8 საათზედ.

ახალი მართული

კარაბაღინი

ისეილება ტფილისში: შაკერდავის და გრიგორავის წიგნების მაღაზიაში; ქუთაისში: მურადავის და ჭიჭიძის წიგნების მაღაზიაში.

უასი ძლიანის ერთი მანეთი.

ღიბებედა და ისეილება ბრ ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

თამარ დედოფალი

შედგენილი

კ. ბ.—შვილისაგან

გამოცემა

საქ. ჭიჭიძისაგან

ფასი ერთი აბაზა.

ამიმი—გვირა

ნ. დ. ბაკრონსკი

გადავიდა ახალს სახლს. ზუბალოვისა მრეწვის მოედ. და სასახლის ქუჩის კუთხეში. შესავალი მრეწვის მოედანით.

იღებს ავად-მყოფებს განსაკუთრებით დედატოა და ბავშვების სატკივრებით მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 9 საათ. 11-მდე. (10—4)

დაიპარბა ძალღი, კონტარი თეთრი გულით.

მხანველს ეთხოვთ წარმოადგინოს „დროების“ რედაქციაში რითვისაც მიიღებს რიგთან ჯილდოს. (5—4)

ვ. შავერდოვის ბაზეთის სააგენტოში ტფილისში (ბოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბაღთან საკუთარს პავილიონში).

მიიღება ხელის მოწერა

1883 წლისა

შოველ გვარ შურნალებზედ და გაზეთებზე ადგილობრივ, რუსულ და სამხლვარ ვარეთებზედაც. (20—11)

ინკლისის მაღაზიაში

თიის აოლუვა-



ნიმასკასტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფუნს აძლევს, ფასი ერთი შუქისა 2 მან., გაცხადებით 2 მან. და 28 კაპ. (100—19)

აქვე ისეილება ქინის ზამადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწორტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტყუაღვტის საზანი, დუხები და სხვ.

ბეკკერის თეატრი

ბუნიბის მოედანზედ.

მშენივრად მოწყობილი სტენა ელექტრონული განხლებით.

კვირას, 12 დეკემბერს

გამოჩენილის რუსეთის და პრუსიის სასახლის მაგიკისგან

პროფესორი ბეკკერისგან

იქნება დიდი და ბრწყინვალე წარმოდგენა ახალის პროგრამით, სხვათა შორის განსაკუთრებელი

მესამეჯირ ჰუმბოლბური სიანსი კამპარისა და

დასანდატკება ორი მსურველი შინისა საზოგადოებამ

შემდეგ მორეჯერ

ოქროს ბუზი

დიდი და ნტასტიკური მოქმედება ძასტორის ბალეტიდამ,

გასაკვირად შეადრევანებით.

თეატრი იქნება კარგად გამოთბარი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

დაიწყება 8 საათზე.

შემდეგი წარმოდგენა იქნება ოთხშაბათს 15 დეკემბერს.

ტფილისის სააღილ-მამულო ბანკისაგან

ტფილისის თავღ-ზნაურთა სააღილ-მამულო ბანკის გამგეობა, ბანკის წესდების § 15 თანახმად 17 თებერვლის 1881 წლისა, ამით აცხადებს, რომ ქრისტეშობისთვის 21-ს ამ 1882 წლისა, შეუადღებ, ტფილისის ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, თ. ირაკლი ბრუზინსკის სახლში, № 13, იქნება საზოგადო გასყიდვა (უბერეტორქკად) იმ ქვემო-მოხსენებულ პირთა უძრავ მამულებისა, რომელთაც ბანკადგან აღებული ვალი დანიშნულ დროზე ვერ შემოიტანეს, ბანკის წესდების § 13, 14, 15, 17, 18 და 19 მუხლებისაგან დაღდენილი.

ტერ-მიქელავი, ასლან ბაბრიელის-ძე. მით-სართულიანი ქვეთკირის სახლი და ბალი, ადგილის ზომა 5000 კვადრატის საყენი ქ. ტფილისში. მლ-გინსკის გზა-ტყევილზედ, ჯვრის მახლობლად. სათაფრო ვალი 6,780 მან. 36 კაპ. შესავსებელი გადასახადი 399 მ. 88 კა, სულ 7,180 მ. 24 კა.

ვორდანავი, ალექსანდრე სოლომონის-ძე. მით-სართულიანი ქვეთკირის სახლი სარდაფით და ორის ერთ-სართულიანის ფლიგელით და დანარჩენის შენობებით. ადგილის ზომა 1060 კვადრ. საყ. ქ. ტფილისში, მე-14 უჩასტკა, მე-2 განყ., ავლაბარში. თაფნი ვალი 11,721 მან. 82 კა. შესავსებელი გადასახადი 970 მ. 89 კა, სულ 12,692 მ. 71 კა.

რუსანსამიძის, ეკატერინა დავითის ასული. სამ-სართულიანი ქვეთკირის სახლი, სარდაფის სართულით და ყველა მოწყობილებით. ადგილის ზომა 50 ოთხ-კუთხი საყ. ქ. ტფილი., ტყუის მე-9 უჩასტკა, მე-2 განყ. თაფნი ვალი 13,675 მან. 26 კა. შესავსებელი გადასახადი 773 მან. 73 კა., სულ—14,449 მ. 19 კა.

გასიღევეთა, ანნა შიმლოს ასრლისა, სამსონ, სტეფანე, პეტრე; ი-გორ და ანნა მემოვისა და სმირნოვისა მარიამ ქვეთმეს ასული, ერთ სართულიანი ქვეთკირის სახლი სარდაფით და სხვა მიშენებული სახლებით, მიწა ზომით 250 1/2 ოთხ-კუთხი საყ. მე-8 უჩეს. მე-2 განყოფილებაში ქ. ტფილასში. თაფნი ვალი 11,721 მ. 82 კა. შესავსებელი გარდასახადი 736 მ. 8 კა. სულ—12,457 მ. 90 კა.

მიქელავის, ეკატერინე ტერ-სტეფანოვის ასული ერთ სართულიანი ქვეთკირის სახლი, ასეთივე ფლიგელით, ადგილის ზომა 306 კვ. საყ. ქ. ტფილისში, მე 16 ნაწილში, მე ორე განყოფილებაში, ნოვოტროიცის პოსტენიაში, სათაფრო ვალი 2,324 მან. 69 კაპ. შესავსებელი გადასახადი 305 მან. 17 კაპ. სულ—2,629 მან. 86 კაპ.

ერისთავი, ძონა მირიანოვის-ძე. სახან-სამოსახლო ადგილები და ტყე, ზომით 1,009 დეს. ტფ. გუბ., ლუშეთის მაზრისა., სოფ. წოლდო. თაფნი ვალი 6,348 მან. 77 კაპ., გადასახდელი 279 მან. სულ—6,627 მან. 77 კაპ. (2—2)